სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

06/08/2026

MES 4 26 0001021539

"სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების განრიგის შესახებ" სტუ-ის რექტორის 2026 წლის 31 ივლისის N998392 ბრძანების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1-ე და 62 მუხლების „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 5 აგვისტოს N377 დადგენილების, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილება "სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების განრიგის შესახებ" სტუ-ის რექტორის 2026 წლის 31 ივლისის N998392 ბრძანების 1 პუნქტში კერძოდ, უცხო ენის გამოცდის განრიგში 9^{00}საათზე ჩანიშნული აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალი იკითხებოდეს ასე: "ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია" და "ქიმიური პროცესების ტექნოლოგია"
2. ბრძანებაში "სამთო ტექნოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი"-ის დასახელება იკითხებოდეს როგორც "სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი"
3. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახურმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64)

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი